

ტესტის სახელწოდება:

მიკროალბუმინის ტესტი

ტესტის ალტერნატიული დასახელება:

შარდის ალბუმინ/კრეატინინის ფარდობა

რას იკვლევს მოცემული ტესტი:

მოცემული ტესტით შესაძლებელია შარდში ალბუმინის აღმოჩენა და ალბუმინ/კრეატინინის თანაფარდობის განსაზღვრა.

ალბუმინი ცილაა, რომელიც სისხლში ცირკულირებს და, ჩვეულებრივ, შარდში არ გვხვდება. მაგრამ თირკმლების დაზიანების ადრეულ ეტაპზე იგი შარდშიც ჩნდება. ამგვარად, მიკროალბუმინის ტესტით შესაძლებელია თირკმლის დაზიანების საწყის სტადიაზე გამოვლენა.

ალბუმინთან ერთად კრეატინინის და, შესაბამისად, ალბუმინ/კრეატინინის ფარდობის განსაზღვრა ტესტის სიზუსტეს ზრდის.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება:

მიკროალბუმინის ტესტი მაშინ ინიშნება, როდესაც თირკმლების დაზიანების მაღალი რისკი არსებობს. მაგალითად, მას ხშირად იკვლევენ დიაბეტის ან ჰიპერტენზიის მქონე პაციენტებში.

როგორ კეთდება ეს ტესტი:

კეთდება შარდის ანალიზი.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის:

მომზადება საჭირო არ არის.

შედეგების ინტერპრეტაცია:

ჩვეულებრივ, შარდში ალბუმინი საერთოდ არ უნდა იყოს. თუკი ტესტმა შარდში ალბუმინის არსებობა გამოავლინა, ეს შესაძლოა თირკმლების დაზიანებაზე მიუთითებდეს. თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ცრუ დადებითი შედეგები აღინიშნება, ამიტომ ანალიზის პასუხის სწორად ინტერპრეტირებისათვის აუცილებელია ექიმთან კონსულტაცია.